სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

07 აგვისტო 2026

N 559/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ხაშურის, საჩხერის და ჭიათურის მუნიციპალიტეტებში სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ „აღმოსავლეთ-დასავლეთის“ მაგისტრალური გაზსადენის „ხაშური-ზესტაფონის“ მონაკვეთის 0-36 კმ-ის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ (ს/კ: 206237491) მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ - სააგენტო) 2026 წლის 3 მარტს (სააგენტოს N 4702) წარმოდგენილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის (ხაშურის, საჩხერის და ჭიათურის მუნიციპალიტეტებში, „აღმოსავლეთ-დასავლეთის“ მაგისტრალური გაზსადენის „ხაშური-ზესტაფონის“ მონაკვეთის 0-36 კმ-ის მშენებლობა და ექსპლუატაცია) გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ - გზშ) ანგარიში და კანონით გათვალისწინებული დოკუმენტაცია. აღნიშნული გზშ-ის ანგარიშის განხილვის მიზნით სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა (ბრძანება N 228/ს; 06/04/2026) და შესაბამისი უწყებების ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა. ინფორმაციის გავრცელების მიზნით დოკუმენტაცია სააგენტოს მიერ განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და დაინტერესებული საზოგადოებისთვის კანონმდებლობის შესაბამისად განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადა.

გზშ-ის ანგარიში მომზადებულია სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ.

2025 წლის 19 აგვისტოს სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ სააგენტოში წარმოდგენილი იყო ხაშურის, საჩხერის და ჭიათურის მუნიციპალიტეტებში, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ „აღმოსავლეთ-დასავლეთის“ მაგისტრალური გაზსადენის „ხაშური-ზესტაფონის“ მონაკვეთის 0-36 კმ-ის მშენებლობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში, რაზეც კოდექსის მიხედვით განხორციელებული სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი. ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (სკოპინგის დასკვნა N 59; სააგენტოს ბრძანება N 591/ს; 03/10/2025).

გზშ-ის ანგარიშის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე (წერილი N 21/9003), სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ 2026 წლის 2 ივლისის N 10056 წერილით წარმოდგენილი იქნა განსახორციელებელ პროექტთან დაკავშირებული დამატებითი/დაზუსტებული დოკუმენტაცია, რომელიც ძირითადად ეხება საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარებას და მათი მართვის რისკებს, ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელ ზემოქმედებას და სხვა. ზემოაღნიშნული საკითხები განხილული იქნა საექსპერტო კომისიის (ბრძანება N 467/ს; 09/07/2026) მიერ. დაზუსტებული დოკუმენტაცია ასევე განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და დაინტერესებული საზოგადოებისთვის განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადა.

„აღმოსავლეთ-დასავლეთის“ მაგისტრალური გაზსადენის „ხაშური-ზესტაფონის“ 36 კმ მონაკვეთის მშენებლობა და ექსპლუატაცია დაგეგმილია ხაშურის, საჩხერის და ჭიათურის მუნიციპალიტეტებში, სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე. საპროექტო ტერიტორიის საწყისი და საბოლოო წერტილების GPS კოორდინატებია: X-389459, Y-4665577; X-361982, Y-4673747. საპროექტო გაზსადენიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლებამდე მანძილი შეადგენს დაახლოებით 50 მეტრს (სოფ. ქვედა ბერეთისა). წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, გაზსადენის ტრასა გადაკვეთს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზას გომი-საჩხერე-ჭიათურა ზესტაფონს (შ-22), ასევე რამდენიმე მდინარეს (მდ. ჭერათხევი, მდ. ძირულა, მდ. დუმალა), არხებს, მშრალ ხევებს და მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზებს (მათ შორის, სს „ენერგო პრო ჯორჯიას“ და სს „საქრუსენერგოს“ საკუთრებაში არსებულ ელექტროგადამცემ ხაზებს (ეგხ)).

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატივების შესახებ, მათ შორის, განხილულია მოქმედი გაზსადენის დემონტაჟის და არსებულ დერეფანში ახლის განთავსების, ასევე გაზსადენის აშენების უმოკლესი, სწორხაზოვანი მარშრუტით გაყვანის და გაზსადენის არსებულ დერეფანში გაყვანის ალტერნატივები. ასევე, მოცემულია დაგეგმილი საქმიანობის უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა. სოციალურ-ეკონომიკური საკითხების გათვალისწინებით, უმოქმედობის ალტერნატივა უარყოფილი იქნა. გაზსადენის გაყვანის ალტერნატივებიდან გარემოსდაცვითი, მათ შორის სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების, ასევე სისტემის საიმედოობის და მდგრადი განვითარების გათვალისწინებით, უპირატესობა მიენიჭა გაზსადენის არსებულ დერეფანში განთავსების ალტერნატივას. კერძოდ, შერჩეული ალტერნატივა გულისხმობს საპროექტო გაზსადენის განთავსებას არსებულ „საგურამო-ქუთაისის” მაგისტრალური გაზსადენის დერეფანში, ხოლო იმ მონაკვეთებში, სადაც შეუძლებელია გაზსადენის განთავსება დერეფნის სიმცირის და არსებული მილსადენების დაცვის ზონების გამო დაიგეგმა გაზსადენის დასაშვებ მანძილზე გადატანა.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, 36 კმ სიგრძის საპროექტო გაზსადენი ძირითადად მიუყვება არსებულ „საგურამო-ქუთაისის“ მაგისტრალური გაზსადენის (რომლის მშენებლობა განხორციელდა გასული საუკუნის 70-იან წლებში) დერეფანს და წარმოადგენს „აღმოსავლეთ-დასავლეთის“ DN700 მაგისტრალური გაზსადენის „გორი-ქარელის“ მონაკვეთის გაგრძელებას, დასავლეთის მიმართულებით. მილსადენის მუშა წნევა იქნება 2 მგპა (საპროექტო წნევის 5.4 მგპა),

მილის დიამეტრი - 711.2 მმ, ხოლო კედლის სისქე - 10.31 მმ. მილის მინიმალური ჩაღრმავება სწორხაზოვან უბანზე იქნება 0.8 მ, ხოლო მრუდწირულ უბანზე - 1.1 მ. სამშენებლო დერეფნის სიგანე შეადგენს 8-20 მეტრს. საპროექტო გაზსადენი დაუკავშირდება „აღმოსავლეთ-დასავლეთის“ მაგისტრალური გაზსადენის არსებულ მონაკვეთს და ბუნებრივ გაზს მიიღებს საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების სისტემიდან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო გაზსადენის მოწყობისთვის ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული იქნება: 36000 მ სიგრძის მიწისქვეშა გაზსადენი; ერთი „ked700“ სფერული საონკანო კვანძი ცალმხრივი გაქრევით გაზსადენის ტრასის დასაწყისში, ერთი DN700 სფერული საონკანო კვანძი ცალმხრივი გაქრევით გაზსადენის ტრასის კმ. ნ. 27+350-ზე; ასევე DN500 შემკრავი გაზსადენის კმ.ნ 27+350-ზე, რომელსაც აქვე განლაგებულ (საპროექტო DN700) სახაზო ონკანთან აქვს საერთო გაქრევის ხაზი; ოთხი საიზოლაციო ქურო, გაზსადენის განშტოებებზე; ექვსი დამხშობი საპროექტო მილსადენის თავსა და ბოლოში და განშტოებებზე. გაზსადენის მშენებლობის ხანგრძლივობა შეადგენს 36 თვეს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, გაზსადენის ტრასა გადაკვეთს რამდენიმე მდინარეს და ხევს, მათ შორის, მდ. ჭერათხევს, მდ. ძირულას, მდ. დუმალას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მდ. ჭერათხევზე და მდ. დუმალაზე გათვალისწინებულია გაზსადენის წყალქვეშ განლაგება, ხოლო მდ. ძირულაზე - საჰაერო გადასასვლელის მოწყობა. საპროექტო გაზსადენი ასევე 15 ადგილზე გადაკვეთს „საგურამო-ქუთაისის“ მაგისტრალურ გაზსადენს და 12 ადგილზე WREP-ს (Western Route Export Pipeline - დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენი). აღსანიშნავია, რომ საპროექტო გაზსადენი გადის მოქმედი მილსადენების ქვეშ, ასევე გაზსადენის ტრასა (პკ 288+89-ზე) გადაკვეთს „ხაშური-ბათუმის“ უმოქმედო DN500 ნავთობსადენის დარჩენილ მონაკვეთებს და DN50 ფოლადის წყალსადენს (პკ 295+75-ზე). გაზსადენის სამშენებლო დერეფანში ხვდება გაუქმებული გაზსადენის მონაკვეთებიც. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, დაგეგმილია გაუქმებული მილსადენების მხოლოდ იმ მონაკვეთების დემონტაჟი, რომლებიც აღმოჩნდება საპროექტო გაზსადენის დერეფანში. ელექტროგადამცემი ხაზებიდან საპროექტო ტრასა გადაკვეთს 0.4 კვ ძაბვის, 10 კვ ძაბვის და 500 კვ ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზებს, ხოლო „გომი-საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონის“ საავტომობილო გზასა და მდინარეს შორის გადის ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი, რისთვისაც გათვალისწინებულია კაბელის დამცავ გარსაცმში მოთავსება. საპროექტო გაზსადენის ტრასა ასევე გადაკვეთს მცირე (50 სმ სიგანის) არხს (პკ 146+18), ნაკადულს (პკ 192+44) და ხევს (პკ 185+45 - პკ 185+54). წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, გაზსადენის ტრასა გადაკვეთს საავტომობილო გზებს (მ.შ. შემდეგი გზები: გომი-საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონი, ჭიათურა-უსახელო-კორბოული და ხვანი). სამივე გზის გადაკვეთაზე გათვალისწინებულია მილსადენის ღია წესით გაყვანა. გარდა აღნიშნული გზებისა, საპროექტო გაზსადენი გადაკვეთს გრუნტის გზას, რაც განხორციელდება ღია წესით (ტრანშეის გაჭრით), სადაც გაზსადენი განთავსდება 1.4 მ სიღრმეზე. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ განთავსებულია სს „საქართველოს მილსადენის კომპანიის საქართველოს ფილიალის“ საკუთრებაში არსებული ბაქო-სუფსის ნავთობსადენი. გარდა აღნიშნულისა, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ შპს „უსასრულო ენერგიის“ მიერ დაგეგმილია 85 მგვტ. სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის „იმერეთი-1“ მშენებლობა და ექსპლუატაცია (გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება 27.03.2020, ბრძანება 2-290).

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, პროექტით გათვალისწინებულია ერთი დროებითი შემოვლითი გზის მოწყობა, რომელიც სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ გაუქმდება, ხოლო ტერიტორია აღდგება პირვანდელ მდგომარეობამდე. პროექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპებზე გამოყენებული იქნება უკვე არსებული მისასვლელი გზები.

საპროექტო გაზსადენის მშენებლობა გათვალისწინებულია ერთ ეტაპად. გზშ-ის ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია პროექტის სამშენებლო სამუშაოების და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. მაგისტრალური გაზსადენის სამშენებლო მოედანს წარმოადგენს საპროექტო გაზსადენის დერეფანი. პროექტით სამშენებლო ბაზაზე პერსონალის დროებითი საცხოვრებლის მოწყობა გათვალისწინებული არ არის. სამშენებლო პერსონალი ძირითადად დაკომპლექტებული იქნება ადგილობრივი მოსახლეობით. გაზსადენის მშენებლობისთვის საჭირო მილების ტრანსპორტირება მოხდება სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ გორის და თბილისის მილსაწყობიდან, საავტომობილო ტრანსპორტით, პირდაპირ სამშენებლო დერეფანში და განთავსდება დერეფანში მთელ სიგრძეზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, გაზსადენის მშენებლობისას სულ დაგეგმილია 74805 $м^3$ ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა. გაზსადენის დერეფანში მიწის საექსკავაციო სამუშაოები განხორციელდება გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დაცვით. პირველ ეტაპზე მოიხსნება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და დასაწყობდება დერეფნის მიმდებარედ. დასაწყობებული ნიადაგი დაცული იქნება გადარეცხვისაგან. მათი მართვა განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების სრული დაცვით. პროექტის ფარგლებში სანაყაროების მოწყობა არ იგეგმება.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია საპროექტო რეგიონის ფონური მდგომარეობის და გარემო პირობების აღწერა. გზშ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავებში მოცემულია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე. ამასთან, მოსალოდნელი ზემოქმედების შერბილების, პრევენციის მიზნით განსაზღვრულია შესაბამისი ღონისძიებები და გარემოსდაცვითი მონიტორინგის საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობა დაკავშირებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევასთან და ხმაურის გავრცელებასთან. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება დაკავშირებული იქნება არაორგანიზებული გაფრქვევის წყაროებთან, როგორიცაა სამშენებლო ტექნიკის მუშაობა და შედუღების სამუშაოები, თუმცა, აღნიშნული გაგრძელდება გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასახულია გაზსადენის ფუნქციონირებით გამოწვეული ზემოქმედების ფაქტობრივი მაჩვენებლები ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები. ექსპლუატაციის პერიოდში ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება მოსალოდნელია სექციების გაზისგან დაცლის დროს. გამწოვი სანთლის სიმაღლეა 5 მ, მის მოსაწყობად გამოყენებული იქნება 57 მმ დიამეტრის მილი, კედლის სისქით - 3 მმ.

დოკუმენტაციაში განხილულია ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შეფასების 2 ვარიანტი: ემისია ხორციელდება არასაშტატო რეჟიმში-ფუნქციონირებისას სანთელი №1 გაზის დაცლის პროცესში, საიდანაც უახლოესი საცხოვრებელი სახლები (წერტ. № 1, 2) დაშორებულია შესაბამისად 400 მ და 730 მ-ით. ემისია ხორციელდება არასაშტატო რეჟიმში-ფუნქციონირებისას სანთელი №2 გაზის დაცლის პროცესში, საიდანაც უახლოესი საცხოვრებელი სახლები (წერტ. № 1, 2) დაშორებულია შესაბამისად 800 მ და 1470 მ-ით.

ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტის გაანგარიშების ნაწილში იდენტიფიცირებულია 2 ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყარო (სანთელი 1 და სანთელი 2), რომელთაგან ორივე წარმოადგენს ორგანიზებული გაფრქვევის წყაროს. გაზსადენის ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა მავნე ნივთიერება - მეთანი.

გაბნევის ანგარიში შესრულებულია სანთელი №1 და სანთელი №2-ს სრული სამუშაო მოცულობის და დატვირთვის პირობებში, რომლის მიხედვითაც, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია არ აჭარბებს ნორმით დადგენილ დასაშვებ მნიშვნელობებს უახლოესი სახლის საზღვარზე (მაქსიმალური კონცენტრაცია მეთანის ზდკ-ს წილი - 0,91მგ/მ3, პირდაპირი მანძილი - 400მ). ამდენად, გაზსადენის ფუნქციონირება არ გამოიწვევს ჰაერის ხარისხის გაუარესებას და მიღებული გაფრქვევები შესაძლებელია დაკვალიფიცირდეს როგორც ზღვრულად დასაშვები გაფრქვევები.

გაზსადენის ექსპლუატაციის პერიოდში ხმაურის გავრცელება მოსალოდნელია გაქრევის სანთლების საშუალებით მილსადენის სექციების გაზისგან დაცლის დროს. მშენებლობის ეტაპზე ხმაურის ძირითად წყაროებია სამშენებლო დერეფნის ფარგლებში მომუშავე ექსკავატორი, რომლის ხმაურის დონე შეადგენს 88 დბა-ს და შედუღების გენერატორი, ხმაურის დონით 80 დბა. გაანგარიშება ჩატარდა იმ მონაკვეთისთვის, რომელიც ყველაზე ახლოს მდებარეობს საცხოვრებელ სახლთან (50 მ). წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების შედეგად ხმაურის გავრცელებით ადგილობრივ მოსახლეობაზე ნეგატიური ზემოქმედების მასშტაბი მნიშვნელოვანი არ იქნება.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, გეომორფოლოგიურად საკვლევი ტერიტორია მოქცეულია სამხრეთ კავკასიონის მთათაშორისი დეპრესიის ზემო იმერეთის პლატოს (ძირულის კრისტალური მასივის) ფარგლებში. საველე კვლევების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ ტერიტორიაზე გამოვლენილი იქნა ქანების შვიდი ძირითადი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე). დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საკვლევი მონაკვეთი მიეკუთვნება II (საშუალო სირთულის) კატეგორიას. დამატებითი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო დერეფნის გასწვრივ საშიში გეოლოგიური პროცესების მართვისა და პრევენციის საკითხი დეტალურად არის დამუშავებული და წინასწარ არის გათვალისწინებული პროექტის ნახაზებსა და საინჟინრო გადაწყვეტებში (დანართი 2). დოკუმენტაციის შესაბამისად, საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ მაგისტრალური გაზსადენის ღერძი ხვდება მხოლოდ ორ ტიპის გეოდინამიკურ უბანზე: მეწყერულ და დახრამვის ზონებში (სხვა სახის გეოლოგიური ობიექტები საპროექტო დერეფნის ფარგლებში არ ფიქსირდება). აღნიშნულ უბნებზე რისკების პრევენციის მიზნით, დამატებით დოკუმენტაციაში მოცემულია პროექტით გათვალისწინებული სხვადასხვა პრევენციული ღონისძიების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის,

ერთ-ერთი პრევენციული ღონისძიება გულისხმობს უშუალოდ მილსადენის ტრანშეის შიგნით, ფერდობებზე, დამატებითი სპეციალური ზღუდარების მოწყობას, რომლებიც აგებული იქნება ქვიშაცემენტის ნარევის ტომრებისგან. აღნიშნული კონსტრუქციები შეაკავებენ თხრილში გრუნტის წყლების მიერ ნიადაგის გამორეცხვას, იმოქმედებენ როგორც საყრდენი კედლები და უზრუნველყოფენ ფერდობის გრძელვადიან გეოტექნიკურ სტაბილურობას.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია მდინარე ჭერათხევის, მდინარე ძირულას და მდინარე დუმალას ჰიდროგრაფიული დახასიათების შესახებ. ანგარიშის თანახმად, საკვლევი მდინარეებიდან ჰიდროლოგიური დაკვირვებები მიმდინარეობდა მხოლოდ ძირულაზე და დუმალაზე. ამასთან, ანგარიშში აღნიშნულია, რომ მდინარე ჭერათხევი შეუსწავლელია ჰიდროლოგიური თვალსაზრისით. ამიტომ, მისი წყლის მაქსიმალური ხარჯები სარეაბილიტაციო გაზსადენის გადაკვეთის კვეთში დადგენილია დეტალური მეთოდით, რომელიც მოცემულია ,,კავკასიის პირობებში მდინარეთა მაქსიმალური ჩამონადენის საანგარიშო ტექნიკურ მითითებაში". დოკუმენტში მოცემულია ინფორმაცია სარეაბილიტაციო გაზსადენის გადასასვლელების კვეთებში საკვლევი მდინარეების საანგარიშო განმეორებადობის წყლის მაქსიმალური ხარჯების შესახებ. ასევე შესაბამის ცხრილებში წარმოდგენილია მონაცემები მდინარეების (ჭერათხევი, ძირულა, დუმალა) ჰიდრავლიკური ელემენტების შესახებ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საკვლევი ტერიტორიის თითქმის ნახევარი მოკლებულია ბუნებრივ მცენარეულობას და წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით და საძოვრებით. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ბიოლოგიური გარემოს ჩატარებული კვლევების დროს გამოვლენილი სახეობებისა და თანასაზოგადოებების შესწავლისასა მიღებული შედეგების მიხედვით, გაზსადენის ინფრასტრუქტურის არეალში არ აღირიცხა ბიომრავალფეროვნებისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი მცენარეთა სახეობები და ცენოზები. ანგარიშის მიხედვით, ინვაზიური სახეობებიდან საკვლევ არეალში გავრცელებულია ცრუაკაცია *(Robinia pseudoacacia)*. აღსანიშნავია, რომ საკვლევ არეალში საქართველოს "წითელი ნუსხით" დაცული მცენარეთა სახეობებიდან აღირიცხა წაბლის *(Castanea sativa)* 12 ინდივიდი.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ დაგეგმილი მილსადენის დერეფანი გადის შედარებით ერთგვაროვან ლანდშაფტზე, საპროექტო არეალის და მიმდებარე ტერიტორიის ფაუნა საკმაოდ მრავალფეროვანია. თუმცა აღსანიშნავია, რომ ის ძირითადად კავკასიის ფოთლოვანი ტყეებისა და ტყეში არსებული ღია სივრცეებისთვის დამახასიათებელი, ფართოდ გავრცელებული და მრავალრიცხოვანი სახეობებითაა წარმოდგენილი. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ აქ წარმოდგენილია იშვიათი და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობები: დიდყურა მღამიობი *(Myotis bechsteinii)*, ევროპული მაჩქათელა *(Barbastella barbastellus)*, კავკასიური ციყვი *(Sciurus anomalus)*, დათვი *(Ursus arctos)*, დიდი მყივანა არწივი *(Clanga clanga)*, ველის კაკაჩა *(Buteo rufinus)*, ქორცქვიტა *(Accipiter brevipes),* ჩვ. გვრიტი *(Streptopelia turtu).*

იქთიოფაუნის კვლევის შედეგად, საპროექტო არეალში სულ აღირიცხა 13 სახეობის თევზის 60-მდე ინდივიდი, რომლებიც მორფოლოგიური კვლევის შემდგომ დაუბრუნდნენ მდინარეებს. აღსანიშნავია, რომ კვლევის დროს დაფიქსირებული ყველა სახეობა ამიერკავკასიის ენდემია, ხოლო რიონის გოჭალა *(Oxynoemacheilus phasicus)* მხოლოდ საქართველოს, კონკრეტულად კი მდ.

რიონის აუზის ენდემი. კვლევის ფარგლებში არ დაფიქსირებულა საქართველოსთვის ინვაზიური სახეობები: კარჩხანა *(Carassius gibelio)*, ფსევდორაზბორა *(Pseudorasbora parva)* და ცისარტყელა კალმახი *(Oncorhynchus mykiss)*, თუმცა აღნიშნულ მდინარეებში ეს სახეობები გვხვდებიან და პერიოდულად საპროექტო ტერიტორიებზეც შემოდიან.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია პროექტის განხორციელების შედეგად იქთიოფაუნაზე მოსალოდნელი ზემოქმედებების შესახებ. მდინარე ჭერათხევზე თევზჭერის დროს დაფიქსირდა 6 სახეობის თევზი: მტკვრის მარდულა - *(Alburnoides eichwaldii)*, მტკვრის თაღლითა - *(Alburnus filippii)*, ჩვეულებრივი ტაფელა - *(Rhodeus amarus)*, მტკვრის წვერა - *(Barbus cyri)*, მტკვრის ქაშაპი - *(Squalius agdamicus)* და მტკვრის ღორჯო - *(Ponticola cyrius)*. მდ. ძირულაზე განხორციელებული თევზჭერის დროს დაფიქსირდა 5 სახეობის თევზი: რიონის გოჭალა - *(Oxynoemacheilus phasicus)*, კოლხური კვირჩხლა - *(Phoxinus colchicus)*, აღმოსავლური ქაშაპი - *(Squalius orientalis)*, სამხრეთული ფრიტა - *(Alburnoides fasciatus)* და კავკასიური ღორჯო - *(Ponticola constructor)*. იგივე სახეობები ნანახი იქნა მდ. დუმალაშიც, აგრეთვე, კოლხური წვერა - *(Barbus rionicu)*. ანგარიშის თანახმად, პროექტის განხორციელების ეტაპზე იქთიოფაუნაზე ზემოქმედება სხვადასხვა მიმართულებით არის მოსალოდნელი, კერძოდ: მდინარეების კალაპოტის ცალკეული ადგილების გაუწყლოებით (ამოშრობა), მდინარეების ამღვრევით, კალაპოტის დაზიანებით, ხმაურით/ვიბრაციით და წყლის დაბინძურებით. ანგარიშში მოცემულია იქთიოფაუნაზე ზემოქმედების შემცირების მიზნით განსაზღვრული შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია.

„აღმოსავლეთ-დასავლეთის“ მაგისტრალური გაზსადენის „ხაშური-ზესტაფონის“ საპროექტო დერეფანი კპ 2+500 და კპ 8+300 კვეთს „ზურმუხტის ქსელის“ დამტკიცებულ სურამი 2 -ის (GE0000049) საიტს. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, დასახელებულ მონაკვეთზე პროექტის განხორციელებამ შესაძლოა გამოიწვიოს ზურმუხტის ქსელის კომპონენტებზე ზეგავლენა, რისთვისაც ჩატარდა ზურმუხტის ქსელის პროექტის ზემოქმედების შეფასება. შეფასების შედეგად განისაზღვრა ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და დაიგეგმა შესაბამისი შემარბილებელი და პრევენციული ღონისძიებები, რომლებიც წარმოდგენილია გზშ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავში.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ცნობით, საპროექტო დერეფნის მთლიანი 696344 კვ.მ ფართობიდან, „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 112873 კვ.მ წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ტერიტორიას. კერძოდ, ხაშურის სატყეო უბნის ჩორჩანას სატყეოს კვარტალი NN7; 8; 9; 16; 17; 22; საჩხერის სატყეო უბნის ლიჩის სატყეოს კვარტალი NN10; 37; 39; 40; 43; 44; 45 და კორბოულის სატყეოს კვარტალი N 28; ჭიათურის სატყეო უბნის ბერეთისას სატყეოს კვარტალი NN11; 13. ასევე, სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე მდებარე 112873 კვ.მ სრულად ზედდებაშია სახელმწიფო ტყის ფონდად რეგისტრირებულ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მქონე 173 ერთეულ მიწის ნაკვეთზე. სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მომართვის საფუძველზე სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე მდებარე 112873 კვ.მ ფართობზე სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოში მიმდინარეობს ადმინისტრაციული

საქმისწარმოება განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით.

წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიშის შესაბამისად, პროექტის განხორციელების მიზნით ტყის ფონდის ტერიტორიაზე გასაკაფი ხე-მცენარეების ჯამი შეადგენს 1484.49 მ³-ს. გასაკაფ მცენარეთა შორის არის საქართველოს წითელი ნუსხით დაცული 12 ძირი წაბლი (Castanea sativa).

სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ცნობით, საპროექტო ტერიტორია არ ექცევა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების ინდივიდუალურ დამცავ ზონაში. ამავე დროს, სააგენტოში წარმოდგენილი იყო საპროექტო ტერიტორიის წინასწარული არქეოლოგიური კვლევის ანგარიში, რომელზე დაყრდნობითაც სააგენტოს მხრიდან გაიცა დადებითი დასკვნა სამუშაოების წარმართვაზე გარკვეული რეკომენდაციების დაცვით. მნიშვნელოვანია, რომ პროექტის განხორციელებისას სოფ. ქვედა ბერეთისას ნაკოშკართან, რომელზეც ახლა ეკლესიაა დაშენებული, მიწის სამუშაოები წარიმართოს მხოლოდ არქეოლოგის ზედამხედველობით.

დამატებით დოკუმენტაციაში წარმოდგენილია სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს წერილი (N 22/4465), რომლის თანახმად სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს წარმოდგენილი პროექტი იმ შემთხვევაში, თუ ბერეტისას კირქვის და ჩორჩანას ჯგუფის ტალკის საბადოების და ჩორჩანას გრანიტის გამოვლინების ტერიტორიაზე არ შეიზღუდება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესაძლებლობა.

გზშ-ის ანგარიშის შესაბამისად, სამშენებლო სამუშაოებმა შესაძლოა გამოიწვიოს ლანდშაფტის ცვლილება, მშენებლობის პერიოდში. თუმცა, აღნიშნულის საპირწონედ განხორციელდება ლანდშაფტის აღდგენის და რეკულტივაციის სამუშაოები, რათა ზემოქმედების ქვეშ მყოფი გარემო დაუბრუნდეს თავის პირვანდელი სახეს.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია პროექტის განხორციელების შედეგად კუმულაციური ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია. ანგარიშის თანახმად, საპროექტო გაზსადენის განთავსება გათვალისწინებულია მოქმედი საგურამო–ქუთაისის მაგისტრალური გაზსადენისა და დასავლეთის მიმართულების ნავთობსადენის საექსპლუატაციო დერეფანში. გარდა აღნიშნულისა, საპროექტო გაზსადენი კვეთს „ქართლი-2“-ის, „ჭალოვანის“, „ბერეთას“ და „ნიგოზეთის“ ელექტროგადამცემ ხაზებს. მაღალი ძაბვის ხაზების გადაკვეთა განხორციელებულია მოქმედი ნორმატიული მოთხოვნების სრული დაცვით და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მესაკუთრეებთან შეთანხმებით. გზშ-ის ანგარიშის შესაბამისად, მშენებლობის ეტაპზე კუმულაციური ზემოქმედება მინიმუმამდე იქნება დაყვანილი, ვინაიდან გათვალისწინებულია ყველა საჭირო ტექნიკური და უსაფრთხოების ზომები. ექსპლუატაციის პერიოდში ელექტროგადამცემი ხაზებისა და გაზსადენის თანაარსებობა დამატებით ზემოქმედებას პრაქტიკულად არ განაპირობებს, რადგან ინფრასტრუქტურა მოწყობილია უსაფრთხო დისტანციებისა და ტექნიკური რეგლამენტების შესაბამისად.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სამივე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამშენებლო დერეფანში განთავსებული კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების

რაოდენობა შეადგენს 193-ს. საიდანაც 5 მიწის ნაკვეთზე მიმდინარეობს შესაბამისი უფლების მოპოვების პროცედურები, 180 მიწის ნაკვეთზე კორპორაციის სარგებლობის უფლება მოპოვებულია, ხოლო 8 მიწის ნაკვეთზე მესაკუთრის მხრიდან ნება გამოხატულია, თუმცა, ყადაღის მიზეზით ამ ეტაპზე ვერ ხერხდება სარგებლობის უფლების დარეგისტრირება.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით სააგენტომ უზრუნველყო საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაციის განთავსება გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე. ინფორმაცია ასევე, გაიგზავნა ჭიათურის და საჩხერის მუნიციპალიტეტებში.

გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვები გაიმართა 2026 წლის 21 და 22 მაისს, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. მანდაეთის და სოფ. ქვედა ბერეთისის ადმინისტრაციული ერთეულის შენობებში, ასევე საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფ. კორბოულის იუსტიციის სახლის შენობაში. საჯარო განხილვებს ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“, შესაბამისი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები და დაინტერესებული საზოგადოება. საჯარო განხილვებზე დამსწრე საზოგადოების მხრიდან, ძირითადად ყურადღება გამახვილდა სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე, რაზეც შესაბამისი კომანტარი გაკეთდა სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ წარმომადგენლების მიერ.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, პროექტთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

გზშ-ის ანგარიშს თან ერთვის საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, ავარიული სიტუაციების რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

გზშ-ის ანგარიში გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა, რომელთა დასკვნების შეჯერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების შედეგად, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-12 მუხლისა და ამავე კოდექსის II დანართის 9.11 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ხაშურის, საჩხერის და ჭიათურის მუნიციპალიტეტებში სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ „აღმოსავლეთ-დასავლეთის“ მაგისტრალური გაზსადენის „ხაშური- ზესტაფონის“ მონაკვეთის 0-36 კმ-ის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე.
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით.
3. **სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ ვალდებულია:**
   ა) საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის, ასევე დამატებითი დოკუმენტაციის, წარმოდგენილი სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების

შემარბილებელი ღონისძიებების, მათ შორის ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შემარბილებელი, ზემოქმედების თავიდან აცილების და პრევენციის ქმედებების, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების და გარემოსდაცვითი მონიტორინგის (მათ შორის, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მონიტორინგი) გეგმების და კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების („დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 31/12/2013 წ. №413 დადგენილება), ასევე დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად და ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით;

ბ) მშენებლობის დაწყებამდე საკვლევ ტერიტორიაზე უზრუნველყოს დეტალური საინჟინრო-გეოდინამიკური აგეგმვის ჩატარება (საშიში გეოლოგიური პროცესების: მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავ-ქვათაცვენა და სხვა პროცესების ადგილმდებარეობის, პარამეტრების, აქტიურობის ხარისხის და პრევენციული ღონისძიებების მითითებით, რათა გამოირიცხოს მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე საშიში გეოლოგიური პროცესების ჩასახვა-აქტივიზაცია თავისი უარყოფითი შედეგებით) და განახლებული ანგარიშის სააგენტოში წარმოდგენა;

გ) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში, გაზსადენის განლაგების ზონაში და მათ მიმდებარედ უზრუნველყოს საშიში გეოლოგიური პროცესების მონიტორინგი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს საშიში გეოლოგიური პროცესებით დაძაბულ უბნებზე შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარება;

დ) მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს ზურმუხტის ქსელის დამტკიცებულ ტერიტორიაზე „სურამი 2“ – GE0000049 ზემოქმედების შეფასების ანგარიშის (ზზშ-ს ანგარიში) განახლება და სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც აისახება აღნიშნული ტერიტორიის სტანდარტულ მონაცემთა ფორმაში მითითებული ჰაბიტატების აღწერა, მასზე საქმიანობით მოსალოდნელი ზემოქმედება (ამ ზემოქმედების სახეების მიხედვით), სათანადო შემარბილებელი, ზემოქმედების თავიდან აცილებისა და საჭიროებისამებრ საკომპენსაციო ქმედებების მითითებით. ასევე, ზზშ-ის ანგარიშში დაკონკრეტდეს მოსალოდნელი ზემოქმედების სახეები, სტანდარტულ მონაცემთა ფორმაში მითითებულ ცხოველთა და მცენარეთა სახეობებთან მიმართებით. საჭიროების შემთხვევაში განისაზღვროს დამატებითი შემარბილებელი, ზემოქმედების თავიდან აცილების და საკომპენსაციო ქმედებები;

ე) მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს განახლებული ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმის სააგენტოსთან შეთანხმება; განახლებული გეგმა უნდა მოიცავდეს ბიომრავალფეროვნებასა და მასზე შესაძლო დაკვირვების საკითხებს, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპისათვის. მასში მოცემული უნდა იყოს ბიომრავალფეროვნებაზე დაკვირვების წარმოების საკითხები, მათ შორის, ზურმუხტის ქსელის დამტიცებულ ტერიტორიასა „სურამი 2“ – GE0000049 და ამ ტერიტორიის სტანდარტულ მონაცემთა ფორმაში მითითებული ჰაბიტატებისა და სახეობების მდგომარეობაზე, მათზე მოსალოდნელ ზემოქმედებაზე, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი პრევენციული ქმედებების დაგეგმვა-განხორციელების მიზნით.

მონიტორინგის გეგმაში, საჭიროა ცალკე გრაფაში აისახოს ინფორმაცია თითოეული სადამკვირვებლო საკითხისთვის სააგენტოსთან ანგარიშგების პერიოდულობის შესახებ;

ვ) მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს სამშენებლო ბანაკის/ბანაკების (მოწყობის შემთხვევაში) დეტალური პროექტების (shp ფაილებთან და საკუთრების ან სარგებლობის დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად) სააგენტოსთან შეთანხმება;

ზ) ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალაღების და/ან წყალჩაშვების შემთხვევაში, აღნიშნული ობიექტების მოწყობამდე უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვა;

თ) მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის სააგენტოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მილსადენის დემონტაჟის, მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ნარჩენების შესახებ ინფორმაცია, ხოლო ნარჩენების მართვა განახორციელოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების და შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად;

ი) უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევების ნორმების პროექტით სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;

ლ) სამუშაოების განხორციელებისას უზრუნველყოს „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვა;

კ) უზრუნველყოს „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება;

ლ) საქმიანობის დაწყებამდე უზრუნველყოს პროექტის გავლენის ზონაში მოქცეულ კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებთან შეთანხმება. ასევე უზრუნველყოს სს „საქრუსენერგოსთან“, სს „ენერგო-პრო ჯორჯიასთან“, შპს „უსასრულო ენერგიასთან“, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან საქმიანობის შეთანხმება და საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს შეთანხმებების შესაბამისად;

მ) მშენებლობის დაწყებისა და დასრულების, ასევე ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ აცნობოს სააგენტოს;

ნ) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით.

4. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“.
5. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.

6. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და ხაშურის, საჩხერის და ჭიათურის მუნიციპალიტეტების მერიების საინფორმაციო დაფებზე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/559-21-4-202608071758